პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 221 (5251)

1974 წ. 6 ნოემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჩემპიონები, პრიზიორები...

ვოლგოგრადში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა იუნიორ აკრობატთა შორის. პირველობაზე წარმატებით იასპარეზა საქართველოს ჭაბუკთა წყვილმა (ზ. ნიკოლაიშვილი და ი. კალანდარიშვილი), რომელმაც ჩემპიონის სახელი დაიმსახურა. შერეულ წყვილთა შორის ვ. იაკოვლევა და ზ. ყაჩმაზოვი III ადგილზე გავიდნენ. ასევე მესამე იყო ჩვენი ოთხეული — ვ. გურგენიძე, გ. ჯაველიძე, გ. კაკაშვილი, ა. მავრაჩელოვი.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდმა IV ადგილი დაიკავა.

ნ. კობიძე.

## პირველი ჩემპიონები, პირველი ოსტატები

მშდ კომპლექსის მრავალჭიდში სსრ კავშირის I ჩემპიონატმა შედეგები შეაჯამა. სოჭის ბაზებზე გამართულმა ასპარეზობამ თავი მოუყარა მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების 47 გუნდს, რომელთა სპორტულ ღირსებას 350-ზე მეტი ფიზკულტურელი იცავდა.

ეს იყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართული მასობრივი შეჯიბრების ფინალი, რომელსაც წინ უსწრებდა შიდა საკოლექტივო, რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და მოკავშირე რესპუბლიკების პირველობები.

ასეთ დიდ ღონისძიებაში პირველად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც მანამდე ცნობილი სპორტსმენები კი არა, უბრალოდ, მასობრივი ფიზკულტურის ერთგული ჯარისკაცები იყვნენ. აქ შეხვდებოდით თითქმის ყველა პროფესიის წარმომადგენლებს, რომლებიც ზღვისპირა ქალაქში თავიანთი კოლექტივის, მხარის, ოლქის, რესპუბლიკის ღირსების დასაცავად, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში პირველი ჩემპიონისა და სპორტის ოსტატის სახელისთვის საბრძოლველად ჩავიდნენ.

და აი, შეჯამდა სამდღიანი ბრძოლის შედეგები, გაირკვა ჩემპიონობის საკითხი, გადაწყდა ვის უნდა მინიჭებოდა საკავშირო სპორტკომიტეტის ბრძანებით სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მშდ კომპლექსის IV საფეხურის — „ფიზიკური სრულყოფა" — ფინალურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისთვის.

როგორც ცნობილია, საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ლენინგრადის გუნდმა, რომელმაც კომპლექსის ყველა საფეხურის პროგრამით ასპარეზობის ჯამში 6216 ქულა მოაგროვა. კრასნოდარის მხარის ნაკრები მას 10 ქულით ჩამორჩა. შემდეგ ადგილებზე გავიდნენ: კიევის (5951), სვერდლოვსკის (5913), გორკისა (5831) და ჩელიაბინსკის (5605) ოლქების ფიზკულტურელები. საქართველოს გუნდმა ამ შეჯიბრებაში XXXI ადგილი დაისაკუთრა — 4693 ქულა. რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს შორის ჩვენს გუნდს ყირგიზეთის (5486), ლატვიის (5482), ლიტვისა (5424) და მოლდავეთის (4905) წარმომადგენლებმა აჯობეს.

გაგაცნობთ სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატს მშდ კომპლექსის მრავალჭიდში (ასაკების მიხედვით): 14–15 წლის გოგონები. ლ. პილაევა (ხარკოვის ოლქი) — 1063 ქულა. ბიჭები. ა. კარალინი (სვერდლოვსკის ოლქი) — 1403. 16–18 წლის ქალიშვილები. ლ. მუხანიოვა (კრასნოიარსკის მხარე) — 894. ჭაბუკები. ს. ავერინი (ლატვიის სსრ) — 714. 19–28 წლის ქალები. გ. კომპანეცი (კიევის ოლქი) — 872. ვაჟები. ვ. ანტიმონოვი (კუსტანაის ოლქი) — 741. 29–34 წლის ქალები. ნ. ბოგუსლავსკაია (გორკის ოლქი) — 822. 29–39 წლის ვაჟები. ვ. შაბანოვი (კრასნოდარის მხარე) — 755.

პირველი სპორტის ოსტატები (ოსტატობა ენიჭებოდათ კომპლექსის IV საფეხურის პროგრამით ასპარეზობაში I–X ადგილებზე გასულებს):

ქალები. გ. კომპანეცი (კიევის ოლქი), გ. შურხოვეცკაია (მოსკოვის ოლქი), ე. სტაროსტინა (გორკის ოლქი), ტ. გონჩაროვა (მოსკოვის I გუნდი), ა. ვიკულოვა (ლენინგრადი), გ. კირეევა (ლატვიის სსრ), ნ. ივანოვა (ლენინგრადის ოლქი), გ. გოლოვანიოვა (გომელის ოლქი), ვ. სიდამოვა (ქ. ტაშკენტი), ნ. ბოგუსლოვსკაია (გორკის ოლქი).

ვაჟები. ვ. ანტიმონოვი (კუსტანაის ოლქი), ვ. ბუდზდოროვენკო (ხარკოვის ოლქი), ნ. ნეფიოდოვი (გორკის ოლქი), გ. ალიოშინი (მოსკოვის ოლქი), ვ. შიროკიხი (ოდესის ოლქი), ი. შეპილოვი (სტავროპოლის მხარე), ა. პეჩონკინი (ტულის ოლქი), ვ. პოდზოროვი (ყირგიზეთის სსრ), ვ. შაბანოვი (კრასნოდარის მხარე), ვ. ზამკოვი (სომხეთის სსრ).

როგორ გამოვიდნენ საქართველოს წარგზავნილები პირად ტურნირში? მაიაკოვსკელმა ემზარ გორგოძემ ბიჭებს შორის ბურთის ტყორცნაში II ადგილი დაიკავა — 63,90 მ. მას მხოლოდ ა. კარალინმა აჯობა — 65,62 მ.

ბათუმელმა თამაზ ბოლქვაძემ უფროსი ასაკის ვაჟთა შორის ხელყუმბარის ტყორცნაში მესამე შედეგი აჩვენა — 59,60 მ.

ქალიშვილებს შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბადალი არ ჰყავდა კლაროდა გუნბას (აფხაზეთი) — 1.10,2, ხოლო ამავე ასაკის ჭაბუკთა შორის თბილისელმა იური ბრიზგალოვმა (1.03,7) ამავე მანძილზე გამარჯვებულ მ. სალიხოვთან (ტაშკენტის ოლქი) 0,7 წამი წააგო და III ადგილზე გავიდა.

კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს გუნდიდან ყველაზე კარგად იასპარეზეს გორგოძემ და გუნბამ, რომლებმაც V ადგილები დაისაკუთრეს.

## პრიზი მოიხვეჭეს

მურმანსკში რამდენიმე დღეს გაგრძელდა მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს, სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების უძლიერეს აკრობატთა შეჯიბრება — ადგილობრივ გაზეთ „კომსომოლეც ზაპოლიარიეს" თასის გათამაშება.

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოიპოვეს გაზეთის მიერ დაწესებული პრიზი.

ნ. კოტრიკაძე.

## უმაღლესი საჭადრაკო ლიგა

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. მოჭადრაკეთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი ლენინგრადში ჩატარდება 29 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე. დამტკიცდა მონაწილეთა შემდეგი შემადგენლობა: მსოფლიოს ექსჩემპიონები ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი, მ. ტალი; საერთაშორისო დიდოსტატები ი. ბალაშოვი, რ. ვაჰანიანი, ი. ვასიუკოვი, ე. გელერი, გ. კუზმინი, ლ. პოლუგაევსკი, ს. ფურმანი; საერთაშორისო ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი, ო. რომანიშინი, ვ. ცეშკოვსკი; ოსტატები კ. გრიგორიანი, ბ. გულკო, მ. დვორეცკი და ვ. კუპრეიჩიკი. დიდოსტატებმა ა. კარპოვმა და ვ. კორჩნოიმ, რომელთა ფინალური მატჩიც ჯერ კიდევ გრძელდება, საკავშირო ჩემპიონატიდან გათავისუფლება ითხოვეს. ეს თხოვნა დაკმაყოფილებულია. ჩემპიონატის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი, საერთაშორისო ოსტატი ვლადას მიკენასი.

### შრომასა და სპორტში

კამიშ-ბურუნის რკინის მადნის კომბინატის კოლექტივში მშდ კომპლექსის მე-500 სამკერდე ნიშანი გაიცა — იგი მიიღო სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა ვ. ბალოლეტკომ. სამმართველოს ხელმძღვანელი სპორტს აგიტაციას უწევს ყველაზე ქმედითი საშუალებით — საკუთარი მაგალითით: თვითონვე ვარჯიშობს ორ სექციაში. სამმართველოს ბევრი მუშაკი უკვე გახდა ნიშნოსანი, სხვები კი ჯერჯერობით ისევ აბარებენ ნორმატივებს.

კამიშ-ბურუნის რკინის მადნის კომბინატი, გმირი ქალაქის მოწინავე საწარმო, დიდ ყურადღებას აქცევს კომპლექსის ცხოვრებაში დანერგვას. 1700-ზე მეტი კაცი რეგულარულად ვარჯიშობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მრავალრიცხოვანი გახდა საშუალო ასაკისა და ხანში შესულ მუშაკთა ჯანმრთელობის ჯგუფი.

ქალაქელებისთვის ნამდვილ „მაგნიტად" იქცა საწყლოსნო სპორტული კომპლექსი ღია საცურაო აუზითა და სახტომი კოშკით. „წყლის სტადიონზე" რეგულარულად დადიან კამიშბურუნელები და მათი ბავშვები, რომელთაც წვრთნიან უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი ლ. ნიკოლენკო და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტ. კოსიცინა (დევიატოვა).

კომბინატის დირექცია, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. ყოველდღე, მუშაობისგან თავისუფალ დროს, ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მიდის კომბინატის კარგად მოწყობილ სტადიონზე, რომელსაც აქვს ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნობის სექტორები, კალათბურთის, ფრენბურთისა და რუსული რიკაობის მოედნები, ჩოგბურთის კორტი, ტირი, სამი სპორტული დარბაზი და სპეციალური დარბაზი მოკრივეებისთვის. მუდამ სავსეა, აგრეთვე, საამქროებისა და მაღაროების სპორტული მოედნები.

კომბინატში ტრადიციად იქცა სპარტაკიადა „შრომისა და ხანგრძლივი ცხოვრებისთვის", შეჯიბრება საამქროების ათ საფეხბურთო გუნდს შორის. საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი გადასცეს რკინიგზის საამქროს ელექტროზეინკალ ზ. ლისენკოს, ხოლო საუკეთესო ნახევარმცველად აღიარეს გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაკი, სპორტის ოსტატი ა. სავუშკინი. ბევრი მძლეოსანი მიიზიდა შეჯიბრებამ მეორე მსოფლიო ომის წლებში პარტიზანული რაზმის მეთაურის გ. მუხლინინის სახელობის პრიზზე.

კომბინატში მეტად პოპულარულია ტურიზმი, რომლის სექციასაც ელექტროზეინკალი ს. კურილოვი ხელმძღვანელობს. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას შორეული ლაშქრობების მოყვარულნი მიდიან ყირიმის მთებში, ატარებენ შეჯიბრებებს ტურისტულ მრავალჭიდში.

კომბინატის მუშაკთა მიერ მოპოვებული სიგელები მასობრივი სპორტის განვითარებისთვის ზრუნვის დადასტურებაა.

მ. ტუროვსკი.
(საკდესის კორ.).

ქერჩი.

## ერთ-ერთი საუკეთესონი



თიანეთის რაიონის დაბა სიონის საშუალო სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობთ, რომ აქ ფიზიკური კულტურა და სპორტი დიდ პატივშია. ამას მოწმობს თუნდაც საუცხოოდ მოვლილი სპორტული მოედნები, მშდ კომპლექსის ლოზუნგები და სტენდები, რომლებსაც დერეფნის დიდი ნაწილი უკავია.

200 მოსწავლიდან ნახევარზე მეტი ფიზკულტურელია. ისინი მძლეოსნობის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და სათხილამურო სპორტის სექციებში იკავებენ სხეულს. 68 მოსწავლე მშდ კომპლექსის ნიშნოსანია.

სკოლის ხელმძღვანელობა (დირექტორი გ. ლაფერაშვილი) ყოველგვარ პირობებს უქმნის ფიზაღზრდის მასწავლებელ ნ. ბეცეცაშვილს, რათა სიონელი მოსწავლე სპორტსმენები საუკეთესონი იყვნენ რაიონში.

ეს ფოტოსურათები სწორედ ამ სკოლის სპორტულ ცხოვრებაზე



მოგვითხრობს. მათზე მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მომენტებია აღბეჭდილი. თქვენ ხედავთ ლ. მერაბიშვილს სიმაღლეზე ხტომის დროს, მორბენალთა შეჯიბრების ფინიშს... მესამე სურათზე კი აღბეჭდილია ბ. სულაკაური, რომელმაც მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი მოიპოვა.

მ. ზაქარეიშვილის ტექსტი და ფოტოები.

(ჩვენი სპეც. კორ.).

დაბა სიონი,
თიანეთის რაიონი.

### ლაგოდეხი

ჩატარდა მოსწავლეთა VII რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა მძლეოსნობაში. მონაწილეობდნენ 14 საშუალო სკოლის ნაკრები გუნდები. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ლელიანის საშუალო სკოლის კოლექტივმა. II ადგილი ხვდათ ყარსუბნელებს, III — აფენელებს.

ჯ. ჯიბლაძე,
ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.





შარშან სექტემბრის დამდეგს რედაქციაში წერილი მოვიდა. შორაპნელი სპორტის მოყვარულები ელექტროელემენტების ქარხნის ფეხბურთის მინდვრის გაუქმებაზე წუხდნენ. საქმის ადგილზე შემოწმებამ ფაქტები დაადასტურა, რის შესახებაც „ლელო“ 1973 წლის 28 სექტემბრის ნომერში წერდა. მაშინ საწარმოს დირექციამ პირობა მოგვცა: „ფეხბურთის მინდორს დროებით იქვე მოვაწყობთ... ამა-

# პირობას შესრულება უნდა

## სპორტში ჩამორჩენა შრომაში ჩამორჩენის მიზეზიც არის

**გამოვარკვიეთ, რა შედეგი მოჰყვა გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას**

## ხელმძღვანელები იცვლებიან, მდგომარეობა უცვლელია

ხაც არ დავკრიდებით, გაზაფხულზე ქარხნის ტერიტორიაზე კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნებს მოვაწყობთ, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის მთლიან შტატს შევქმნით და ფიზკულტურული საქმიანობისთვის გათავისუფლებული მუშაკიც გვეყოლება. ცხადია, სხვა ნაკლის გამოსწორებისთვისაც ვიზრუნებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ფიზკულტურასა და სპორტში ქალების ჩაბმას“...

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. გადავწყვიტეთ შეგვემოწმებინა, როგორ შეასრულა პირობა ქარხნის დირექციამ. ამ მიზნით კვლავ ვეწვიეთ საწარმოს.

ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა: ქარხნის დირექციის ძველი შემადგენლობიდან ველარავის ვნახეთ, ვერც შარშანდელი დირექტორი მ. კიკნაძე, ვერც პარტკომის მდივანი გ. კვინიკაძე, ვერც პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. თურმანიძე. ამ თანამდებობებზე სამიოდე თვეა სხვები მუშაობენ. დირექტორი დ. გაჩეჩილაძე კაბინეტში ვინახულეთ და ჩვენი მოსვლის მიზეზი გავაცანით. საუბარში შემდეგ დასკვნამდე მივედით:

ქარხნის ძველ ხელმძღვანელობას, რომლის მთავარ საზრუნავსაც საწარმოს რეკონსტრუქციის დროულად დამთავრება შეადგენდა, ფიზკულტურელებისთვის მიცემული პირობიდან მხოლოდ ის გაუკეთებია, რომ ფეხბურთის მინდვრის მოსაწყობად ძველი მოედნის მახლობლად, იქვე, სადაც საცხოვრებელი სახლის აგება დაიწყეს (დღემდე მხოლოდ საძირკველია ჩაყრილი), მიწა მოუსწორებია. მერე შარშანდელი შემოდგომაც მიილია, წლევანდელი გაზაფხულიც უკან დარჩა, ელექტროელემენტების ქარხნის ფიზკულტურელებისთვის ზრუნვა კი აღარავის მოაგონდება.

ქარხანაში მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გაუმჯობესებისთვის რომ არავინ ზრუნავდა, ეს ქარხნის წლევანდელი სოციალისტური ვალდებულებებიდანაც ჩანს. აქ ფიზკულტურასა და სპორტში ჩამორჩენის აღმოფხვრაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. ხოლო, რაიონის 1974 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში, რაც ქარხნის კოლექტივისთვისაც სახელმძღვანელო იყო, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა ნათლად ჩანს. ამ ვალდებულებებში გარკვევით წერია: „ვიზრუნებთ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის, ბაზების ქსელის გაფართოებისთვის, გეგმის გადაჭარბებით მოვამზადებთ ერთ სპორტის ოსტატს, ორ სპორტის ოსტატობის კანდიდატს, ათ პირველთანრიგოსანს“...

წლის მანძილზე ქარხნის მუშამოსამსახურეთა რიცხვი 200-ზე კაცით გაიზარდა, კომკავშირელთა რაოდენობამაც საგრძნობლად იმატა, მაგრამ საწარმო პროდუქციის გამოშვების გეგმას მაინც ვერ ასრულებდა. როგორც გვითხრეს, ამაში კადრების დენადობასაც მიუძღვის ბრალი. მართლაც, ისეთ ორგანიზაციაში, სადაც კულტმასობრივი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა უყურადღებოდაა მიტოვებული, ახალგაზრდობის შენარჩუნება ძნელია. ეს ქარხნის ახალმა ხელმძღვანელობამაც უნდა გაითვალისწინოს.

დ. გაჩეჩილაძესთან საუბარში გამოირკვა, რომ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი უკვე შეუქმნიათ და ამ თანამდებობაზე ზ. ლომინაშვილი დაუნიშნავთ. ქარხნის ტერიტორიაზე ფრენბურთისა და კალათბურთის კომპლექსური მოედნის მოწყობა განუზრახავთ და უმუშავიათ კიდეც, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის სრული ძალით ასამოქმედებლადაა საჭირო. საწარმოში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა კვლავ მეტად დაბალ დონეზე დგას. მოვუსმინოთ ქარხნის ზოგიერთ თანამშრომელს.

ნ. ჩიტორელიძე (ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე): ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის საკითხი, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია ჩვენი ორგანიზაციისთვის. კრებაზე ამას წინათაც ვიმსჯელეთ და სათანადო ღონისძიებაც დავსახეთ. დირექციას წინადადებით მივმართეთ და დახმარებასაც დაგვპირდნენ. მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა.

ლ. ქაჯაია (ელექტრომონტიორი. ქარხანაში სამუშაოდ შორაპნის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა): ერთადერთი სახეობა, რომელიც ჩვენს კოლექტივშია დანერგილი, ფეხბურთია, მაგრამ, ვინაიდან ბაზა არა გვაქვს, ხშირად ვერ ვვარჯიშობთ და სათამაშოდ ფეროპლავილნის ქარხნის სტადიონზე დავდივართ.

თ. ქამუშაძე (კომპრესორის მემანქანე): ამ ქარხანაში სამი წელია ვმუშაობ, ფეხბურთს ვთამაშობ. ჩვენი სახეობის მოყვარულთა გაჭირვებაზე ლევანმა ყველაფერი მოგახსენათ. დავუმატებ, რომ სხვა სახეობებში კიდევ უარესი მდგომარეობაა. არადა, ჩვენ, ახალგაზრდებს, ფიზკულტურა და სპორტი ყველაზე მეტად გვაკავშირებს, შრომის ინტერესსაც უფრო გვიღვივებს.

ცხადია, ქარხანაში კარგად იციან, რა როლს ასრულებს ფიზკულტურა და სპორტი შრომისნაყოფიერების ზრდაში, მაგრამ სავალალოა, რომ დღემდე თავი ვერ მოაბეს ბაზების მოწყობას, სექციების შექმნას, სპორტინვენტარის საკმარი რაოდენობით შეძენას, შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების, ამხანაგური მატჩების ჩატარებას.

ვთქვათ, დირექციას არ სურს იზრუნოს კოლექტივში ფიზკულტურული მუშაობისთვის ან საამისოდ არ სცალია. რას აკეთებენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, რატომ არ დარაზმავენ ახალგაზრდებს, რატომ არ გამართავენ შაბათობებს, სპორტული ბაზების მშენებლობა თვითონ, საკუთარი ძალებით რომ დაამთავრონ? დარწმუნებული ვართ, ქარხნის 402 კომკავშირელმა ერთ კვირა დღეს რომ გულმოდგინედ იშრომოს, ბევრი რამ გაკეთდება.

— კალათბურთის ფარების, ფრენბურთის მოედნის ბოძების, ხელბურთის კარის მიტანა ჩვენზე იყოს. თუ კომკავშირელები შაბათობას მოაწყობენ, ჩვენც მხარში ამოვუდგებით და მდგომარეობას ნაწილობრივ მაინც გამოვასწორებთ, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა.

მ. ბელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზესტაფონი.

# რუსთაველთა გასაჭირი — დაბალი შედეგები

რუსთავის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე თვეს გრძელდებოდა ქალაქის VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები 19 სახეობაში.

მძლეოსნობაში 178 სპორტსმენი ასპარეზობდა. გუნდური I ადგილი ხვდა სპორტკლუბ „ფოლადს“ — 371 ქულა. II ადგილზე გავიდა „დინამოს“ კოლექტივი — 220, III — ჯანმრთელობის განყოფილება — 146. ტექნიკური შედეგები ძალიან დაბალი იყო: მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა შეასრულა მეორე თანრიგის ნორმატივი, ხოლო 37 მონაწილემ — მესამე თანრიგისა.

განაცხადების მიხედვით, ხელბურთელთა ტურნირში მონაწილეობა უნდა მიეღო ვაჟთა 11 და ქალთა 4 გუნდს, მაგრამ ასპარეზობაში მხოლოდ ვაჟთა ექვსი კოლექტივი ჩაება. ქალთა პირველობა არ ჩატარებულა, ვინაიდან გუნდი მხოლოდ ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ გამოიყვანა. ამ საქმეში დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ცემენტის ქარხნის, ქიმიური კომბინატის, № 1 სამშენებლო ტრესტის, საზკვების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის“, ჯანმრთელობის განყოფილებისა და სხვა ორგანიზაციათა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. I ადგილისთვის ბრძოლაში „დინამოს“ მესამე გუნდმა ანგარიშით 28:25 სძლია „ფოლადს“.

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების შეჯიბრება კარგად ჩაატარა „ფოლადმა“ და ჩემპიონობა მოიპოვა. II ადგილზეა „დინამოს“ მეორე გუნდი, III — ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ნაკრები. ქალაქის საწარმო-დაწესებულებიდან მხოლოდ ქიმიურმა კომბინატმა და ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ შეძლეს ქალთა გუნდების გამოყვანა.

მოცურავეთა პირველობაში 10 ფიზკულტურული კოლექტივის 66 სპორტსმენი მონაწილეობდა. 250 ქულით გუნდური I ადგილი დაიკავა „ფოლადმა“. 149 ქულა დააგროვა „დინამოს“ მეორე გუნდმა, ხოლო 70 — მესამე პრიზიორმა — „ავტომატმრეწვის“ ინსტიტუტის კოლექტივმა.

არც სპორტულ ტანვარჯიშში შეჯიბრება იყო მასობრივი: ხარიხელზე მხოლოდ 16 სპორტსმენი გამოვიდა. სათანრიგო ნორმატივები თერთმეტმა კაცმა შეასრულა. „ფოლადის“ წარმომადგენლებმა 642 ქულა დააგროვეს, ქიმიური კომბინატის სპორტსმენებმა — 59. III ადგილზეა ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის“ გუნდი — 21 ქულა.

აშენებშენებული ქარხნის მოჭიდრაკეებმა (დ. მამაცაშვილი, ვ. სტრელნიკოვი, ხ. ლეპსაია) არა მარტო თავიანთ ქვეჯგუფში ისახელეს თავი, არამედ მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებული ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის“ სპორტსმენებიც დაამარცხეს (3:0). III ადგილი ხვდა „ფოლადს“.



ძალოსანთა შეჯიბრება მხოლოდ შვიდ წონით კატეგორიაში გაიმართა. სულ 27 კაცი ასპარეზობდა. გაიმარჯვა „ფოლადმა“ — 142 ქულა, II ადგილზეა „დინამოს“ მეორე კოლექტივი — 51, III — ქიმიური კომბინატის ნაკრები — 31.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ვ. ბადალოვმა, ს. ნერსესოვმა, მ. მუსაევმა, მ. ლაზარიანცმა, ვ. ლობჟანიძემ (ყველა — „ფოლადი“), ა. სმირნოვმა („დინამო“ II), თ. ძაგოევმა (ქიმიური კომბინატი).

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში ყველას აჯობეს „ფოლადის“ წარმომადგენლებმა. „ფოლადის“ სპორტსმენებს ტოლი არ ჰყავდათ საგზაო-ველოსიპედო ველოსრბოლაშიც. ჩოგბურთში გაიმარჯვეს ქიმიური კომბინატის სპორტსმენებმა.

გუნდური პირველობა რინგის კვადრატზეც „ფოლადის“ მოკრივეებმა მოიგეს. II ადგილზე არიან მშენებლები, III — ქიმიური ბოჭკოს ქარხნის სპორტსმენები. ჩემპიონები გახდნენ: ა. ფიოდოროვი (მშენებელი), ნ. ხუციშვილი („ფოლადი“), თ. ველიციანი (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა), ა. მორაბაევი (მშენებელი), რ. გვენეტაშვილი, ვ. სოროკინი, ვ. პეტროვი, ვ. პოსისაევი, პ. ტასმახოვი (ყველა — „ფოლადი“), რ. დიღმელაშვილი (ქიმიური კომბინატი).

მოფარიკავეთა ტურნირში „ფოლადის“ გუნდმა სამჯერ მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე II ადგილზე გასულმა „რუსთავვაჭრობის“ (50 ქულა) კოლექტივმა. ცალკეული იარაღებით შეჯიბრებაში თავი ისახელეს ტ. გზირიშვილმა („რუსთავვაჭრობა“), ბ. ფაჩულიამ (ქიმიური კომბინატი), ბ. ჩხიკვაძემ და ნ. ბლიაძემ (ორივე — „ფოლადი“).

ტყვიის სროლაში I ადგილი წილად ხვდა „დინამოს“ მეორე გუნდს. თავისუფალ, კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაში ტოლი არ ჰყავდათ „ფოლადის“ სპორტსმენებს, ჭადრაკის შეჯიბრება მოიგეს ქიმიური კომბინატის წარმომადგენლებმა, ხოლო ძიუდოში გამარჯვება წილად ხვდათ № 17 პროფტექნიკური სასწავლებლის მოჭიდავეებს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში რუსთავის VI სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სპორტკლუბმა „ფოლადმა“.

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

სურათზე: 100 მეტრზე რბენის მომენტი.

ავტორის ფოტო.

## კოლმეურნეებს სპორტი ეხმარებათ

კოლმეურნეობა „ლენინგრადის“ ფეხბურთელებმა წლეულს ეს უკვე მესამედ მოიპოვეს ჩემპიონობა ტაჯიკეთის სოფლის გუნდებს შორის. ამ მეურნეობის ახალგაზრდობა კარგად მუშაობს მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, ბაღებში. დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ კი, როცა თვით კოლმეურნეობის მიერ აშენებულ სოფლის სტადიონზე სიცხე კლებულობს, ლონიერი, მზეზე გარუჯული ახალგაზრდები ხავარჯიშოდ იყრიან თავს. მხოლოდ ფეხბურთი როდი ეხმარებათ მებამბეებს შრომაში. მათს ყიჟინას გაიგონებთ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებზე, ძალოსნები შტანგას ეჭიდებიან, საჭიდაო ხალიჩაზე კი ახალგაზრდა ფალავნები გულდასმით სწავლობენ ილეთებს.

... ხაიდარ ხალიკოვი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული სპორტით. სოფლის ჩემპიონი სპორტის ოსტატიც გახდა. ახლა ხაიდარი მოჭიდავეებს ავარჯიშებს. მისი თაოსნობით კოლმეურნეობაში ჩამოაყალიბეს ფეხბურთისა და ფრენბურთის გუნდები, ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის, მძლეოსნობის სექციები, ხოლო სულ სასოფლო-სამეურნეო არტელში სპორტის ათი სახეობაა დანერგილი.

ფიზკულტურის კოლექტივი თვიდან თვემდე იზრდება. უკვე ჰყავთ თავიანთი ჩემპიონებიც, რომლებიც წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ ტურნირებში. აღმრიცხველი რ. რანაევი კარგად თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს. მებამბეები ლ. ნაზარალიევი და ტ. ტამბულატოვი ფეხბურთელები არიან. რაიონის საუკეთესო მოჭიდავეთა შორის იხსენიებენ მოფერებს ფ. კარიმოვსა და ფ. მადამინოვს.

სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის საკავშირო დათვალიერებაში მოპოვებული მაღალი შედეგებისთვის „ლენინგრადის“ ფიზკულტურელთა კოლექტივი პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

— მემინდვრეებისთვის სპორტი საუკეთესო დასვენებაა, — ამბობს ხალიკოვი. — იგი გვეხმარება შრომის სწორ ორგანიზაციაში, გვმატებს ძალას და გამძლეობას.

ფიზკულტურამ და სპორტმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ტაჯიკეთის სოფლებში. ამჟამად სოფლის საზოგადოება „ხოსილოტის“ სხვადასხვა სექციაში ასი ათასზე მეტი ადამიანი ვარჯიშობს.

ო. ჩიბრიძე.

დუშანბე.

## მეგობრობენ ოლქები, მეგობრობენ სპორტსმენები

გაიმართა ივანოვოსა და ტაშკენტის მეგობრული ოლქების II სპარტაკიადა.

ეს მეგობრობა ათობით წლებს ითვლის. დიდი ხანია ერთმანეთს ეჯიბრებიან „თეთრი ოქროს მხარისა“ და „ფეიქართა მხარის“ მშრომელები. ხელშეკრულება (დევიზით „მასობრიობა და ოსტატობა“) სპორტსმენებმაც დადეს.

ტაშკენტელებისა და ივანოველების პირველი სპარტაკიადა ძველი რუსული ქალაქის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა, მეორე კი ინდუსტრიულ ჩირჩიკში მოეწყო.

ყველაზე მეტი მონაწილე ჰყავდა მძლეოსანთა მატჩს. პატარა უპირატესობით (81:78) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. თავი გამოიჩინა ჩირჩიკელმა ნ. ჩერნოგოროვამ, რომელმაც ბირთვი 16,67 მეტრზე ჰკრა. ეს რესპუბლიკის რეკორდია.

ცურვაში გაიმარჯვეს ივანოვოს სპორტსმენმა ქალებმა და ტაშკენტელმა ვაჟებმა. უფრო წარმატებით გამოვიდნენ მასპინძლები ტანმოვარჯიშეთა და მოკრივეთა შეჯიბრებებში.

სტუმრები ინტერესით ეცნობოდნენ ელექტროქიმიური კომბინატის სპორტული კლუბების, ჩირჩიკის ბავშვთა სპორტული სკოლის მუშაობას, დაათვალიერეს ჩარვაკი, სადაც მთის მდინარეზე აგებენ მძლავრ ჰიდროსადგურს, ხოლო ხელოვნური ზღვის ნაპირზე ქმნიან დასვენების ზონას, შემდეგ იყვნენ კოლმეურნეობა „პოლიტოტდელში“. აქ ივანოველებმა დაათვალიერეს დაბა, სტადიონი... რასაკვირველია, მინდორსაც მიაშურეს და იქ ბამბის კრეფას შეუდგნენ...

მეგობრული ოლქების შემდეგი სპარტაკიადა გაისად მოეწყობა ივანოვოში.

ტ. გოლუბკინა,
ი. ეფიმოვი.

ტაშკენტი.






# 8 შაშის ეშნირაით...

ასეთრიან შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის III ტურის წინ ჭადრაკის სასახლის მეორე დარბაზში მოეწყო თბილისის მოშაშე ქალთა ჩემპიონატის საზეიმო დახურვა, რომელსაც პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენიც დაესწრნენ. შემდეგ მოშაშე ქალებმა დიდ დარბაზში გადაინაცვლეს.

— აი, ამას ჰქვია მოშაშეთა იერიში საჭადრაკო სასახლეზე, — იხუმრა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, როცა მოშაშე გოგონებს დარბაზში გულშემატკივრების მთელი ლაშქარი შემოჰყვა.

— ეს იერიში კი არა, ჭადრაკისა და შაშის ძმური კავშირია, — შეუსწორა მეორემ.

თბილისის ახალი ჩემპიონი, 12 წლის მაია მოსიძე და დანი მისნი, მართალია, ჯერ პატარა (64-უჯრიან) დაფაზე თამაშობენ, მაგრამ საერთაშორისო შაშში გამართული ბრძოლის მეტოქეებიც კარგად ესმით. უამისოდ არც შეიძლება. ცხოვრება წინ მიდის. მალე საერთაშორისო შაშში ქალთა I მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართება.

ყველას ყურადღება მიიპყრო ხ. ვირსმა (ჰოლანდია) — გ. განიონის (კანადა) პარტიამ. მეტოქეებმა დებიუტი უშეცდომოდ გაითამაშეს. ვირსმას პოზიცია უფრო პერსპექტიული ჩანდა და ყველა მოუთმენლად ელოდა იმ ნალმის აფეთქებას, რომელსაც ჰოლანდიელი დიდოსტატი ამზადებდა.



ამ პოზიციაში განიონმა (თეთრები) ვერ შეამჩნია სისუსტე თავისი შაშების წყობაში და 31.39—33? ითამაშა.

ვირსმა მთლად დაიძაბა. გავიდა წუთები და... ნაღმიც აფეთქდა.

31. ... 17—22
32.28:17 15—20
33.24:15 4—10
34.15:4 12—18

ვირსმა სწირავს კიდევ ერთ შაშს, რათა ·კანადელ მეტოქეს თამაშის მხოლოდ ერთი გზა დარჩეს.

35.23:12 13—18

კომბინაცია დასრულდა. ვირსმა სავარძლის ზურგზე გადაწვა. განიონი იძულებულია თავის მარბიელს მოგალატის როლი შეასრულებინოს.

36.4:31 26:27:48:39:28:37:46 და თეთრები დანებდნენ, ვინაიდან 37.17:26 8:17 შემდეგ მათი გაფანტული ლაშქარი ვირსმას მარბიელისა და ოთხი შაშის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა.

ეს ბრწყინვალე კომბინაცია ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საშაშო ლიტერატურაში.

მეხობელ დაფაზე დონ კანდანგე (შრი ლანკა) რიგელ ა. ანდრეიკოს კომბინაცია შესთავაზა, მაგრამ თავად ყველა ნიუანსი ვერ გაითვალისწინა. ანდრეიკომ მიიღო შვიდივე შეწირული შაში და გაიმარჯვა.

კიეველი ი. კუპერმანი სამი მარბიელით დიდხანს დასდევდა გ. ბადიალის (იტალია) მარბიელს, მაგრამ ვერაფერს გახდა. იტალიელი ოსტატი მტკიცედ იცავდა თავს და ყაიმს მიაღწია. პ. კალუეჟაბეკმა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო ე. კონვერსკის (პოლონეთი), ფ. ვალდრინგისა (სურინამი) და მ. ლეპშინის (იუგოსლავია) შეხვედრა არ შედგა პირველის ავადმყოფობის გამო. მინსკელი ა. განტვარგი ისვენებდა.

ზ. ტალახაძე,
შაშის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

* * *

სურათზე: I ტური. თამაშობენ პ. კალეჟაბეკი და მ. ლეპშინი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

# სპორტული ნოემბერი

შემოდგომის ბოლო თვე ბევრ საინტერესო საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებას გვპირდება. გაგაცნობთ მათგან უმთავრეს შეჯიბრებათა კალენდარს.

### აკრობატიკა

23-24. საერთაშორისო შეჯიბრება მფრინავ-კოსმონავტ ვ. ვოლკოვის ხსოვნის პრიზზე (ტოლიატი).

### ბადმინტონი

6-10. სსრ კავშირისა და პაკისტანის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (საბჭოთა კავშირი).

20-24. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ბაქო).

### ბატუტი

16-17. სსრ კავშირის თასი (დნეპროპეტროვსკი).

### თავისუფალი ჭიდაობა

16-17. ევროპის თასი საკლუბო გუნდებისთვის. მონაწილეობს თბილისის „დინამო" (ბულგარეთი).

21-24. სსრ კავშირის თასი (ქდანოვი).

### კალათბურთი

19-24. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. პირველი წრის I ტური (ბაქო, ვილნიუსი).

### კლასიკური ჭიდაობა

16-17. ევროპის თასი საკლუბო გუნდებისთვის. მონაწილეობს კიევის „დინამო" (შტუტგარტი, გფრ).

28. XI-1. XII. სსრ კავშირის თასი (დონის როსტოვი).

### კრივი

17-24. სსრ კავშირის თასი (ალმა-ათა).

28-30. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).

### მაგიდის ჩოგბურთი

6. ევროპის ლიგის პირველობა. სსრ კავშირი — გფრ (მოსკოვი).

12-14. ევროპის ლიგის პირველობა. სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია (მოსკოვი).

### მძლეოსნობა

8-10. საერთაშორისო შეჯიბრება (არგენტინა).

### მხატვრული ტანვარჯიში

20-28. საერთაშორისო შეჯიბრება (კუბა).

21-25. საერთაშორისო შეჯიბრება — „ინტერვიზიის თასი" (სოფია, ბულგარეთი).

### სათხილამურო სპორტი

25-30. სკანდინავიის ქვეყნების შეჯიბრება (შვეცია).

### სამბო

21-24. სსრ კავშირის თასი (ბარნაული).

### სავოტოციკლო სპორტი

15-24. საერთაშორისო შეჯიბრება კროსში „250" და „500-იანების" კლასებში (კუბა).

### სასტენდო სროლა

22-24. საკავშირო შეჯიბრება (ტაშკენტი).

### სპორტული ტანვარჯიში

14-18. საერთაშორისო შეჯიბრება (ესპანეთი).

24-26. საერთაშორისო შეჯიბრება (ფინეთი).

26. XI-8 XII. საერთაშორისო შეჯიბრება (იაპონია).

28. XI-2. XII. ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირის მატჩი (ჩეხოსლოვაკია).

### ფეხბურთი

6. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: „არარატი" (ერევანი) — „სელტიკი" (კორკი, ირლანდია). ერევანი.

6. უეფა-ს თასი: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ). მოსკოვი.

### ფიგურული ციგურაობა

8-10. საერთაშორისო შეჯიბრება — „პრაღის ციგურები" (ჩეხოსლოვაკია).

13-18. საერთაშორისო შეჯიბრება „ცისფერი მახვილების" თასზე. (გდრ).

21-24. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ჩელიაბინსკი).

### ფრენბურთი

13-17. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება (ჩეხოსლოვაკია).

### შაში

20. XI-11. XII. საკავშირო ჩემპიონატის ფინალი ასეჯრიან შაშში, (ლვოვი).

### ჩოგბურთი

22. XI-30. XII. საერთაშორისო შეჯიბრება. (ავსტრალია).

### ცურვა

16-20. საერთაშორისო შეჯიბრება — „ბონვედის" თასი" (უნგრეთი).

23-24. საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

### ძალოსნობა

22. საერთაშორისო შეჯიბრება (ფინეთი).

22-24. რსფსრ-სა და პოლონეთის ნაკრები გუნდების (23 წლამდე ათლეტები) შეჯიბრება (კემეროვო).

27. საერთაშორისო შეჯიბრება (ინგლისი).

### ძიუდო

17. სსრ კავშირის თასი (ერევანი, ყარაგანდა).

### ჭადრაკი

8-25. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (ვენეცია).

29. XI-17. XII. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (თბილისი).

30. XI-26 XII. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა (ლენინგრადი).

### ხელბურთი

19.24. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება — „კარპატის თასი" (რუმინეთი).

21-26. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (შვეცია).

29. XI-5. XII. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (ვილნიუსი).

### ჰოკეი

7, 9 და 10. ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩები (ფინეთი).



სსრ კავშირის პირველობა

# სამ ზონაში

დამთავრდა II ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშებანი ზონებში. თითოეული ზონიდან 3-3 გუნდი ნახევარფინალურ ჯგუფებში აგრძელებს ბრძოლას ფინალისტთა გამოსავლენად.

ნახევარფინალების მონაწილენი დაიყვნენ სამ ჯგუფად. ფრუნზეში თამაშობენ ადგილობრივი „ალგა", „დინამო" (ლენინგრადი), „დინამო" (ბათუმი), „რუბინი" (ყაზანი), „ამური" (ბლაგოვეშჩენსკი) და უკრაინის ზონაში გამარჯვებული გუნდი; გროზნოში გამოდიან ადგილობრივი „თერგი", „სუდოსტროიტელი" (ნიკოლაევი), „ვულკანი" (კამჩატკის პეტროპავლოვსკი), „იანგიერი" (იანგიერი), „დილა" (გორი) და „ვოლგა" (გორკი); ხარკოვის ჯგუფში გაერთიანებული არიან „მეტალისტი" (ხარკოვი), „დინამო" (ბარნაული), „ტორპედო" (ვლადიმირი), „დაუგავა" (რიგა), „ავანგარდი" (კურსკი) და „შახტიორი" (ყარაგანდა).

2-2 გუნდი ყოველი ზონიდან მონაწილეობას მიიღებს ექვსთა ფინალურ ტურნირში, რომელიც 20-30 ნოემბერს ჩატარდება სოჭში.

# ბათუმელთა ახალი წარმატება

ბათუმი, 4 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). საინტერესოდ წარიმართა მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 11 ტურის მატჩები.

კოჯისპირული წვიმა დაესწრო მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და ლენინგრადის „ზენიტის" მატჩს. თამაში ძალიან ჭირდა და ისე დამთავრდა, რომ ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

მერე გამოიდარა და მოსკოვის „შრომითი რეზერვების" შეხვედრა იაროსლავლის „შინიკთან" შედარებით ნორმალურ პირობებში ჩატარდა. მოსკოველებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და უკვე მე-10 წუთზე კოლიბუხოვმა ზუსტად დაარტყა მეტოქის კარში. 25-ე წუთზე გულიმოვმა მეორედ აიღო იაროსლაველთა კარი, ხოლო შესვენების შემდეგ მანვე კიდევ ერთხელ დააწყებინა მეტოქეს ცენტრიდან თამაში.

დიდ ინტერესს იწვევდა ბათუმის დინამოელთა შეხვედრა ტაშკენტის „ფახთაქორთან". მასპინძლებმა კვლავ დიდი მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს და თავიდანვე აიძულეს მეკარე ნუზაფაროვი თამაშში ჩაბმულიყო. მე-15 წუთზე კაჭარავამ კარის წინ მიაწოდა ბურთი, ხოლო დოლიძემ თავით შეუცვალა მას მიმართულება. ნუზაფაროვმა მოასწრო ბურთის მოგერიება, მაგრამ იქვე გაჩნდა ჩაზმავა და ანგარიში გახსნა.

ტაშკენტელებმა შეძლეს რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევის განხორციელება, რომელთაგან ერთ-ერთი გოლით დამთავრდა: ბათუმელთა მეკარე მამანაიშვილს ფეხი დაუცდა და ვერ შეძლო არუთინოვის მიერ შორიდან დარტყმული ბურთის აღება — 1:1.

მეორე ტაიმში მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ, „ფახთაქორის" კართან ბევრი საშიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ გოლი არც ერთს არ მიაჯულდა. მაინც, დინამოელებმა შეძლეს უადრესად საჭირო გამარჯვების მოპოვება ჩაზმავას ზუსტი დარტყმის მეშვეობით — 2:1.

ო. მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## 2:0

ალჟირი, 4 ნოემბერი. ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" მეორე მატჩშიც სძლია მასპინძელი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების ფეხბურთელთა ნაკრებს. შეხვედრის ანგარიშია 2:0.

# მინი-ფეხბურთის ტრფიალნი

ჭიათურის განათლების განყოფილების სპორტსკოლამ მოაწყო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდნენ ქალაქის საშუალო სკოლების გუნდები (1962-64 წლებში დაბადებული ბავშვები).

წარმატება წილად ხვდათ 1-ლი სკოლის წარმომადგენლებს. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მე-7 და მე-3 სკოლების გუნდები.

დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

შ. ტატიშვილი.
(ჩვენი კორ.).
ჭიათურა.

# დაჯილდოება

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილებით, მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის ხამკერდე ნიშნით — „პროფკავშირებში აქტიური მუშაობისთვის" დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს ორგანოს, გაზეთ „ლელოს" მუშაკები:

გელაშვილი ოთარ ივანეს ძე — განყოფილების გამგე,

კაკაბაძე მიხეილ ვასილის ძე — რედაქტორი,

ქორქია როდიონ როდიონის ძე — განყოფილების გამგე,

ჭაფარიძე ზურაბ ბესარიონის ძე — რედაქტორის მოადგილე.

„ლელო" უპასუხებს

## „16 ჩამორჩენილი სახეობა"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 22 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში, რომელიც თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებას ეხებოდა, გაკრიტიკებული იყო დინამოელი მორბენლის ბ. მექვაბიშვილის არასპორტული საქციელი.

როგორც „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია გვატყობინებს, გაზეთში დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტი სწორია. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა მექვაბიშვილის საქციელზე და მას საყვედური გამოუცხადა. პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება ეცნობა იმ სამხედრო ნაწილის პირად შემადგენლობას, რომელშიც ბ. მექვაბიშვილი მსახურობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა ოქტომბრის თვეში მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებში ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქალთა გუნდი. დგანან (მარცხნიდან) — მწვრთნელი ვ. ტიურინი, ლ. ოსადჩაია, ი. რისკალი, ი. ბესპალოვა, ვ. დუიუნოვა, ვ. ბულოენკო, ტ. ტრეტიაკოვა, ლ. ტიურინა, ე. სტალევსკაია, რ. სალიხოვა და გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. ახვლედიანი; სხედან — ლ. ჩერნიშოვა, ლ. მელეშკო, ლ. შჩეტინინა, ლ. ბოროზნა, გ. გონობობლევა, ნ. ერიომინა, ი. მეჟინია. ვაჟთა ნაკრები. დგანან (მარცხნიდან) — ვ. კონდრა, ი. სტარუნსკი, ა. ვიზჟაჩოვი, ა. პოლიშჩუკი, ა. საპრიკინი, ვ. ზაიცევი, ვ. ბორშჩი; სხედან — ე. ჩულაკი, ვ. ჩერნიშოვი, ვ. ულანოვი, მ. როსოვი, ლ. ზაიკო.

გ. ბალდასარიანის და რ. აკოფიანის ფოტოები. (საქდესი).

## ტირაჟის შედეგები

შეჯამდა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 30-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3964 მანეთია (115 ბილეთი), ოთხისთვის — 85 (6971), სამისთვის — 3 მანეთი (153828);

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერც აქ გამოიცნო ვინმემ. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2925 მანეთია (40 ბილეთი), ოთხისთვის — 61 (2271), სამისთვის — 3 მანეთი (43383).

მოგებული თანხა გაიცემა შემნახველ სალაროებში 11 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. (საქდესი).

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## კარპოვი — კორჩნოი 3:0 (15 ყაიმი)

მოსკოვი, 4 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის ფინიშზე კორჩნოი ძნელი ამოცანის წინაშე დგას: დარჩენილ ექვს პარტიაში არც ისე ადვილია დაძლიო 3 ქულის სხვაობა. მაგრამ კორჩნოი გულს არ იტეხს. XIX პარტიაში მან თეთრებით ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი, მერე კი პაიკთა ცენტრი შექმნა და ფიგურების განვითარებაში გარკვეული უპირატესობა მიიღო.

კარპოვი მეტოქის ინიციატივას არ შეუშინდა და მოულოდნელი მე-11 სვლით ბრძოლა ძალიან გაამწვავა. მერე მან დაძაბულობა გაანელა და თამაშს პოზიციური იერი მისცა. ლაზიერები რომ გაიცვალა, დაფაზე დაახლოებით თანაბარი ენდშპილი შეიქმნა.

კარპოვი განაგრძობდა პოზიციის გამარტივებას, მაგრამ ერთ მომენტში უზუსტოდ ითამაშა და ინიციატივას კვლავ კორჩნოი დაეუფლა.

მალე თამაშის დრო ამოიწურა და პარტია გადაიდო. კორჩნოიმ თავისი 41-ე სვლა ჩაიწერა. მხოლოდ საშინაო ანალიზი დაადგენს, გამარჯვების მისაღწევად საკმარისია თუ არა კორჩნოის უპირატესობა. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ პარტია ყაიმით დამთავრდება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## აფხაზეთის ტურისტთა შეჯიბრება

სოხუმში ორ დღეს გაგრძელდა აფხაზეთის ტურისტთა შეკრება-შეჯიბრება. გამარჯვებისთვის 17 კოლექტივის 200-მდე წარმომადგენელი იბრძოდა. პროგრამაში იყო მეკლდეურობა, თოკის დახმარებით და გასაბერი ნავებით მდინარის გადალახვა, ტყვიის სროლა, კოცონის დანთება, კარვის გაშლა და სხვ.

ასპარეზობაში I-II ადგილები „სოხუმხელსაწყოს“ და ფიზიკატექნიკური ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა გაიყვეს. მესამე იყო სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კოლექტივი.

საპრიზო ადგილები ცალ-ცალკე განაწილდა ტურბაზებს შორის. აქ საუკეთესო იყო „ფსხირცის“ ტურბაზა. II ადგილზე არიან სოხუმის, ხოლო III — ახალი ათონის მე-2 ტურბაზის წარმომადგენლები.

ნ. მიქაშავიძე.

სოხუმი.

## მოკლედ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გრძელდებოდა საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ თ. ნაცვალაძემ 6-კილოგრამიანი ბირთვი 15,42 მეტრზე ჰკრა და 1,29 მეტრით გააუმჯობესა 1967 წელს ხაშურელი გ. ჟამკოციანის მიერ დამყარებული საშუალო ასაკის მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდი.

## ჩოგბურთის კორტებზე

ჰილტონ-ჰედის (აშშ) კუნძულზე ამავე სახელწოდების პატარა ქალაქში გამართულმა დიდმა საერთაშორისო ტურნირმა მსოფლიოს ბევრი უძლიერესი ჩოგბურთელი მიიზიდა. მათ შორის იყო ავსტრალიელი როდ ლეივერიც, რომელიც არცთუ ისე ხშირად ანებივრებს მაყურებელს ტურნირებში მონაწილეობით. მაგრამ ვაჟთა შეჯიბრების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გამოცდილი რუმინელი ილიე ნასტასე და ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ასევე გამოცდილი შვედი ბიორნ ბორგი. გაიმარჯვა ნასტასემ — 7:6, 6:3.

სამაგიეროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ ბორგმა რევანში აიღო, როცა წყვილების ტურნირის ფინალში ლეივერთან ერთად დაამარცხა ნასტასე — სტენ სმითის (აშშ) დუეტი — 7:6, 6:7, 6:2.

დაახლოებით ასეთივე რამ მოხდა ქალთა შეჯიბრებებშიც: ერთეულთა თანრიგში პირველობა ამერიკელმა კრის ევერტმა დაისაკუთრა — ფინალში ვირჯინია უეიდს (ინგლისი) სძლია — 6:1, 6:3. მერე კი უეიდმაც მოახერხა რევანშის აღება: წყვილთა შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში მან და ივონ გულაგონგმა (ავსტრალია) მოუგეს ევერტსა და ბილი-ჯინ კინგს (აშშ) — 3:6, 6:4, 6:3.

შერეულ წყვილთა თანრიგის ფინალში ერთმანეთს ამერიკული (კინგი — სმითი) და ავსტრალიური (გულაგონგი — ლეივერი) დუეტები შეხვდნენ. დაძაბულ ბრძოლაში წარმატება ამერიკელებს ხვდათ — 3:6, 7:6, 6:3.

## ღიმილის ფურცელი

კ. პატიაშვილის ნახატები.



— აპაპაიტ! ხედავ, მურზაყან, ჩვენსავით დღეგრძელი კანდელაკი თამაშობს ჰოკეის.

— თბილისის „დინამოში“ ყოფილიყო, ოცდაათისას გააცილებდნენ „საზეიმოდ“...



— რას სჩადით, კაცო?!

— დაგვპირდნენ, თუ კასრში ოსტატს მოამზადებთ, აუზს აგიშენებთ და შეიძლება წყალიც ჩაგისხათო!..



უსიტყვოდ.

ა. ერაძის ნახატი.

თბილისის სპორტის სასახლე

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის“ სტადიონი. დღეს. საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი. დასაწყისი 11 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53 ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და კადრების განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.